



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება #26

2015 წელი 3 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - სოფელ ანანურში მდებარე 58 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობით (ს/კ 71.55.07.425) ფიზიკურ პირ ხათუნა წიკლაურისთვის სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2, მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ფიზიკურ პირ ხათუნა წიკლაურს (პ/ნ 16001006921) სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სოფელ ანანურში მდებარე 58 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე დამაგრებული შენობა ნაგებობით (ს/კ 71.55.07.425).
2. ხათუნა წიკლაურის მიერ წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 2100 (ორი ათას ასი) ლარით.
3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი